Docusign Envelope ID: 5949C816-5593-4FC5-9702-730BDCA5EF33

შპს „ადენზა ჯორჯია“
2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მცირე და საშუალო საწარმოების ფასს)

“ნასდაქი” კონფიდენციალური ინფორმაცია – პერსონალური მონაცემები: შეზღუდეთ მათი გადაცემა და უზრუნველყავით პერსონალური მონაცემების დაცვა კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად

Docusign Envelope ID: 5949C816-5593-4FC5-9702-730BDCA5EF33

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

Docusign Envelope ID: 5949C816-5593-4FC5-9702-730BDCA5EF33

’000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	8	148
სხვა გრძელვადიანი აქტივები	7	55	49
გრძელვადიანი აქტივები		**63**	**197**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,181	1,956
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	924	121
მოკლევადიანი აქტივები		**2,105**	**2,077**
სულ აქტივები		**2,168**	**2,274**
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		961	992
სულ კაპიტალი		**961**	**992**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,207	1,282
სულ ვალდებულებები		**1,207**	**1,282**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**2,168**	**2,274**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 7 - 17 გვერდებზე.

“ნასდაქი” კონფიდენციალური ინფორმაცია – პერსონალური მონაცემები: შეზღუდეთ მათი გადაცემა და უზრუნველყავით პერსონალური მონაცემების დაცვა კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად

Docusign Envelope ID: 5949C816-5593-4FC5-9702-730BDCA5EF33

’000 ლარი	**შენიშვნა**	**2024**	**2023**
შემოსავალი მომსახურებიდან		14,214	11,000
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	5	(12,327)	(9,562)
საიჯარო ხარჯი		(173)	(168)
ცვეთის ხარჯი	6	(19)	(68)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(703)	(433)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		**992**	**767**
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი		(1,023)	(455)
მოგება/ზარალი, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**(31)**	**312**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება/ზარალი და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**(31)**	**312**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 სექტემბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

DocuSigned by:
4A75F508679A4CA...

DocuSigned by:
28DAD4405A4F400...

დირექტორი	დირექტორი
ჩარლზ დანიელ ვალენ	დეინა რ ლეიდჰოლდი

“ნასდაქი” კონფიდენციალური ინფორმაცია – პერსონალური მონაცემები: შეზღუდეთ მათი გადაცემა და უზრუნველყავით პერსონალური მონაცემების დაცვა კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად

Docusign Envelope ID: 5949C816-5593-4FC5-9702-730BDCA5EF33

’000 ლარი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	680	680
მთლიანი სრული შემოსავალი	680	680
წლის მოგება	312	312
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	**312**	**312**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**992**	**992**
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	992	992
მთლიანი სრული შემოსავალი	992	992
წლის ზარალი	(31)	(31)
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	**(31)**	**(31)**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**961**	**961**

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 7 - 17 გვერდებზე.

“ნასდაქი” კონფიდენციალური ინფორმაცია – პერსონალური მონაცემები: შეზღუდეთ მათი გადაცემა და უზრუნველყავით პერსონალური მონაცემების დაცვა კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად

Docusign Envelope ID: 5949C816-5593-4FC5-9702-730BDCA5EF33

’000 ლარი	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(31)	312
კორექტირებები:		
წმინდა ფინანსური ხარჯი	1,023	509
ძირითადი საშუალებების ცვეთა	19	68
	1,011	**890**
ცვლილებები:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(5,590)	(347)
სავაჭრო ვალდებულებებში	(1,166)	(221)
სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში	6,433	(417)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	**(323)**	**(985)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან:		
ძირითად საშუალებების შეძენა/გასვლა	170	(56)
დეპოზიტები	(56)	
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**114**	**(56)**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	803	(152)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	121	273
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**924**	**121**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 7 – 17 გვერდებზე.

“ნასდაქი” კონფიდენციალური ინფორმაცია – პერსონალური მონაცემები: შეზღუდეთ მათი გადაცემა და უზრუნველყავით პერსონალური მონაცემების დაცვა კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად

Docusign Envelope ID: 5949C816-5593-4FC5-9702-730BDCA5EF33

შენიშვნა		გვერდი
1.	ანგარიშვალდებული საწარმო	8
2.	აღრიცხვის საფუძველი	9
3.	სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	9
4.	შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	9
5.	დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	9
6.	ძირითადი საშუალებები	10
7.	სხვა გრძელვადიანი აქტივები	11
8.	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
9.	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11
10.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11
11.	პირობითი ვალდებულებები	11
12.	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	12
13.	შეფასების საფუძველი	12
14.	შემდგომი მოვლენები	13
15.	მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკები	13

Docusign Envelope ID: 5949C816-5593-4FC5-9702-730BDCA5EF33

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

კომპანია ასევე დამოკიდებულია ბაზრებზე, სადაც დაკავშირებული საწარმოები აწარმოებენ თავიანთ საქმიანობას, რადგან აღნიშნული ბაზრების ბიზნეს გარემომ შესაძლოა პირდაპირი გავლენა იქონიოს კომპანიის საქმიანობაზე.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „ადენზა ჯორჯია“ (შემდგომში, „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დაარსდა 2022 წლის 20 აპრილს და მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N29. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია 405527540. კომპანიის დირექტორები არიან ჩარლზ დანიელ ვალენ და დეინა რ ლეიდჰოლდი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესების, დანერგვის, პერსონალიზაციის და კონფიგურაციის გარკვეული მომსახურების გაწევა საქართველოს ფარგლებს გარეთ და/ან ლიცენზიების განვითარების მხარდაჭერის მომსახურების გაწევა.

2023 წლის 28 მარტს, კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანია „Adenza Parent, L.P.“ შეიცვალა და გახდა „Adenza Limited“ (ინგლისსა და უელსში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება), საბოლოო მაკონტროლებელი მხარის ცვლილების გარეშე თუმცა 2023 წლის 1 ნოემბერს „ნასდაქმა“ (ფასიან ქაღალდთა დილერების ავტომატური კოტირებების ეროვნული ასოციაცია) შეისყიდა ადენზა ჯგუფი, შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა „ნასდაქი“, ხმათა უმრავლესობის გამო.

“ნასდაქი” კონფიდენციალური ინფორმაცია – პერსონალური მონაცემები: შეზღუდეთ მათი გადაცემა და უზრუნველყავით პერსონალური მონაცემების დაცვა კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად

Docusign Envelope ID: 5949C816-5593-4FC5-9702-730BDCA5EF33

2. აღრიცხვის საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (შემდგომში მოხსენიებული როგორც „მცირე და საშუალო საწარმოების ფასს სტანდარტები“), რომელიც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც მცირე და საშუალო საწარმოების ფასს სტანდარტებზე არის დაფუძნებული.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

მცირე და საშუალო საწარმოების ფასს სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ასევე ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მსჯელობებთან, დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობები, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ.

5. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

’000 ლარი	2024	2023
სახელფასო ხარჯი	8,174	8,164
წახალისების პროგრამა და ბონუსები	2,950	1,056
სხვა სარგებელი	1,203	342
	12,327	**9,562**

“ნასდაქი” კონფიდენციალური ინფორმაცია – პერსონალური მონაცემები: შეზღუდეთ მათი გადაცემა და უზრუნველყავით პერსონალური მონაცემების დაცვა კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად

Docusign Envelope ID: 5949C816-5593-4FC5-9702-730BDCA5EF33

ყოფილი საბოლოო მშობელი კომპანია, „Adenza Parent, L.P“ახორციელებდა წახალისების პროგრამებს კომპანიის ყველა თანამშრომლისთვის, რომელთა ფარგლებშიც თანამშრომლებს პირობითად ენიჭებოდათ საბოლოო მშობელი კომპანიის აქციები. აღნიშნული აქციები ექვემდებარებოდა ვესტირებას თანამშრომლების მიერ მომავალში განსაზღვრული მომსახურების ვადის შესრულების საფუძველზე. აქციები ითვლებოდა ვესტირებულად 2023 წლის 1 ნოემბერს, „Adenza Group “-ის შესყიდვის დასრულების თარიღისთვის.
კომპანიის იმ თანამშრომლებს, ვინც გათვალისწინებულნი იყვნენ პროგრამაში, გადახდები უნდა მიეღოთ ზემოაღნიშნული თარიღის შემდგომი ორი წლის განმავლობაში.
წილობრივი გადახდის გარიგებების მიმართ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საბოლოო მშობელი კომპანია აკისრებს კომპანიას მინიჭებული წილების შესაბამის ღირებულებას. შედეგად, დაკისრებული დანახარჯი მიჩნეულია არა-სახელშეკრულებო პირობით ვალდებულებად. კომპანიამ აირჩია სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც არა-სახელშეკრულებო პირობითი ვალდებულება აღირიცხება ფულით განსაზღვრული წილობრივი გადახდის გარიგების ანალოგიურად. შესაბამისად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული გარიგება კლასიფიცირდება ფულით განსაზღვრული წილობრივი გადახდის გარიგებად.

„სხვა სარგებელი“ ძირითადად შედგება წლიური ბონუსებისგან, ჯანმრთელობის დაზღვევისა და თანამშრომლების სხვა სარგებლისგან.

6. ძირითადი საშუალებები

’000 ლარი თვითღირებულება	Computers	Other	Total
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	209	19	228
შესყიდვები/(გასვლები)	(209)	(3)	(212)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**-**	**16**	**16**
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	(75)	(6)	(81)
ცვეთა	(134)	(3)	(137)
გასვლა	209		209
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(8)**	**(8)**
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**134**	**14**	**148**
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	**-**	**8**	**8**

’000 ლარი თვითღირებულება	კომპიუტერული ტექნიკა	სხვა	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	**202**	**19**	**221**
შესყიდვები	7	-	7
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**209**	**19**	**229**
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	(11)	(2)	(13)
ცვეთა	(63)	(4)	(68)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	(75)	(6)	(81)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	**191**	**17**	**208**
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**134**	**14**	**148**

“ნასდაქი” კონფიდენციალური ინფორმაცია – პერსონალური მონაცემები: შეზღუდეთ მათი გადაცემა და უზრუნველყავით პერსონალური მონაცემების დაცვა კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად

Docusign Envelope ID: 5949C816-5593-4FC5-9702-730BDCA5EF33

7. სხვა გრძელვადიანი აქტივები

’000 GEL	2024	2023
დეპოზიტები >1 წელზე	55	48
	55	**48**

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

’000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ	1,145	1,886
წინასწარ გადახდილი ხარჯები	29	70
საგადასახადო აქტივი	7	
	1,181	**1,956**

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

’000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საბანკო ნაშთები	924	121
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში	**924**	**121**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკებში არსებული ფულადი ნაშთები არც გაუფასურებული და არც ვადაგადაცილებულია.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

’000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ვალდებულებები დასაქმებულების მიმართ	61	1,227
საგადასახადო ვალდებულებები	-	3
სხვა ვალდებულებები	1,146	52
	1,207	**1,282**

11. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ აქვს ადგილობრივი სადაზღვევო ანაზღაურება მისი საქმიანობის შეწყვეტის ან მესამე პირის ვალდებულებებზე ქონების ან გარემოს დაზიანებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშვება კომპანიის ქონებასთან ან მის ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან, რადგან აღნიშნული რისკები „ადენზა ჯგუფის“ დონეზე არის დაზღვეული.

“ნასდაქი” კონფიდენციალური ინფორმაცია – პერსონალური მონაცემები: შეზღუდეთ მათი გადაცემა და უზრუნველყავით პერსონალური მონაცემების დაცვა კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად

Docusign Envelope ID: 5949C816-5593-4FC5-9702-730BDCA5EF33

(b) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს რაიმე დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან გასულია სამი წელი.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისაგან და მათ გავლენა იქონიონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

2023 წლის 28 მარტს, კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანია „Adenza Parent, L.P.“ შეიცვალა და გახდა „Adenza Limited“ (ინგლისსა და უელსში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება), საბოლოო მაკონტროლებელი მხარის ცვლილების გარეშე თუმცა 2023 წლის 1 ნოემბერს „ნასდაქმა“ (ფასიან ქაღალდთა დილერების ავტომატური კოტირებების ეროვნული ასოციაცია) შეისყიდა ადენზა ჯგუფი, შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ‘ნასდაქი“, ხმათა უმრავლესობის გამო.

(b) ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

’000 ლარი	გარიგების ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს
საქონლისა და მომსახურების გაყიდვა:		
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	14,214	6,488

’000 ლარი	გარიგების ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს
საქონლისა და მომსახურების გაყიდვა:		
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	11,000	1,886

ყველა დაუფარავი ნაშთი დაკავშირებული მხარეების მიმართ, დაფარულ უნდა იქნეს ფულადი სახსრებით საანგარიშგებო თარიღიდან 6 თვის განმავლობაში.

13. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

“ნასდაქი” კონფიდენციალური ინფორმაცია – პერსონალური მონაცემები: შეზღუდეთ მათი გადაცემა და უზრუნველყავით პერსონალური მონაცემების დაცვა კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად

Docusign Envelope ID: 5949C816-5593-4FC5-9702-730BDCA5EF33

14. შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არ ჰქონია ადგილი მოვლენებს, რომლებიც უნდა იყოს წარმოდგენილი კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ან რომელიც ითხოვს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

(a) შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება, მიუხედავად იმისა თუ როდის განხორციელდება გადახდა, და გაწეული ხარჯების სანდოდ შეფასებაც არის შესაძლებელი. შემოსავალი ფასდება თვითღირებულებას დამატებული მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული მარჟა, ნებისმიერი გადასახადებისა და მოსაკრებლების გარეშე.

(b) ხარჯები

(i) დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმების ფარგლებში, თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(ii) საოჯარო ხარჯი და სხვა საოპერაციო ხარჯები

კომპანია ხარჯებს მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებს, როდესაც წარმოიშობა აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რომელიც საიმედოდ შეიძლება შეფასდეს.

(c) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციები აღირიცხება შესაბამისი ოპერაციების თარიღებისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი გაცვლითი კურსებით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ლარში ხდება სებ-ის მიერ წლის ბოლოსთვის დადგენილი გაცვლითი კურსებით. შედეგად მიღებული წმინდა საკურსო შემოსულობა ან ზარალი აისახება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, როგორც საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი).

“ნასდაქი” კონფიდენციალური ინფორმაცია – პერსონალური მონაცემები: შეზღუდეთ მათი გადაცემა და უზრუნველყავით პერსონალური მონაცემების დაცვა კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად

Docusign Envelope ID: 5949C816-5593-4FC5-9702-730BDCA5EF33

(d) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

(e) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 10 ოქტომბრის #1794 დადგენილებით კომპანიას მიენიჭა საერთაშორისო კომპანიის სტატუსი (სტატუსი), რომელიც მოქმედია 2023 წლის 1 ოქტომბრიდან. სტატუსის შედეგად კომპანია სარგებლოს შემდეგი საგადასახადო შეღავათებით:

- საერთაშორისო კომპანიის მოგების გადასახადის განაკვეთია 5% (ნაცვლად სტანდარტული 15%-ისა)
- საერთაშორისო კომპანიაში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი 5 %-ით იბეგრება (ნაცვლად სტანდარტული 20 %-ისა)
- საერთაშორისო კომპანიის მიერ გაცემული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები პირის ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება
- საერთაშორისო კომპანია გათავისუფლებულია ქონების (გარდა მიწისა) გადასახადისგან, თუ ეს ქონება საქართველოს მთავრობის დადგენილებით ნებადართული საქმიანობის განხორციელებისთვის არის გამიზნული ან გამოიყენება.

კომპანიას უფლება აქვს მიიღოს მხოლოდ სტატუსისთვის ნებადართული საქმიანობის თანმდევი შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ სახის შემოსავლები (დღგ-ს გარეშე) ჯამურად არ აღემატება სტატუსის მქონე პირის მიერ ნებადართული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 2%-ს

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებიც კვლავ დაიბეგრება მოგების გადასახადით დასაბეგრი შემოსავლისა და შესაბამისი გამოქვითვების მიხედვით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, არამედ დაბეგვრის მომენტი ინაცვლებს/გადადის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო პირობებით

“ნასდაქი” კონფიდენციალური ინფორმაცია – პერსონალური მონაცემები: შეზღუდეთ მათი გადაცემა და უზრუნველყავით პერსონალური მონაცემების დაცვა კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად

Docusign Envelope ID: 5949C816-5593-4FC5-9702-730BDCA5EF33

განხორციელებული საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან დაბეგვრის ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უსასყიდლო მიწოდებებსა და ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით წარმომადგენლობით ხარჯებს.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების/ვალდებულებების საგადასახადო ბაზებს მათი ფინანსური ბაზებისგან და შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშობა.

წინა პერიოდებში დარიცხული საგადასახადო ზარალი არ გაითვალისწინება მომავალი დასაბეგრი მოგების განსაზღვრისას.

(f) **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულად სახსრებს, ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს და სხვა მოკლევადიან მაღალ ლიკვიდურ ინვესტიციებს, თავდაპირველი დაფარვის სამთვიანი ან ნაკლები ვადით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც შეუზღუდავად არის ხელმისაწვდომი კომპანიისთვის.

(g) **ფინანსური ინსტრუმენტები**

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით (გარიგების ხარჯების ჩათვლით, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი შეფასების გარდა, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით ინდივიდუალურ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში). თუ გარიგება საფინანსო ოპერაციას წარმოადგენს, მაშინ იგი ფასდება საბაზრო საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით.

(i) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი გარიგების ფასით. გაყიდვების უმეტესობა ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით ხორციელდება და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. როდესაც დებიტორული დავალიანება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს ცდება, იგი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(ii) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით და შემდგომ, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებები კონვერტირებულია ლარში

“ნასდაქი” კონფიდენციალური ინფორმაცია – პერსონალური მონაცემები: შეზღუდეთ მათი გადაცემა და უზრუნველყავით პერსონალური მონაცემების დაცვა კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად

Docusign Envelope ID: 5949C816-5593-4FC5-9702-730BDCA5EF33

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის გამოყენებით.

(h) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ნეტო ღირებულებით, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება, და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას აქტივის ან ვალდებულების სახით ნეტო თანხის საფუძველზე.

(i) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოადგენს მატერიალურ აქტივებს, რომლებიც იმყოფება კომპანიის განკარგულებაში და გამოყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მიწოდების მიზნით, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და მოსალოდნელია, რომ იქნება გამოყენებული ერთზე მეტი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. მატერიალური აქტივები აღიარდება ძირითადი საშუალებების სახით, მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- აქტივის თვითღირებულება სანდოდ შეიძლება შეფასდეს.

ძირითადი საშუალებების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, კანონით განსაზღვრულ მოსაკრებლებს, საბროკერო მომსახურების ღირებულებას, იმპორტის გადასახდელებს, შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, ასევე ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული აქტივის იმ ადგილმდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად, რომელიც აუცილებელია მისი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარება წყდება მისი გაყიდვისთანავე ან როდესაც მისი გამოყენებიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ წმინდა შემოსულობებსა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ანგარიშგებიდან მოხსნილი აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება წლის შემოსავლის ანგარიშგებაში, მოგების ან ზარალის სახით.

ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით აქტივის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

	წელი
ლეპტოპი, პრინტერი	3
ოფისის აღჭურვილობა, კომპიუტერი, სერვერები და ქსელი	5
ავეჯი, იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10

(j) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან აღიარებული ვალდებულება, რომლის შეფასებაც საიმედოდ არის

“ნასდაქი” კონფიდენციალური ინფორმაცია – პერსონალური მონაცემები: შეზღუდეთ მათი გადაცემა და უზრუნველყავით პერსონალური მონაცემების დაცვა კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად

Docusign Envelope ID: 5949C816-5593-4FC5-9702-730BDCA5EF33

შესაძლებელი და სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება კომპანიიდან ეკონომიკური სარგებელის გასვლა. ანარიცხები გამოითვლება მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების დისკონტირებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტის პოზიციის დახურვა აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

(k) დაკავშირებული მხარეები

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს მომსახურების გაწევას.

პირი ჩაითვლება კომპანიასთან დაკავშირებულად, თუ ეს პირი ან ამ პირის ოჯახის წევრი:

- კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრია; ან
- ახორციელებს საწარმოს კონტროლს ან ერთობლივ კონტროლს
- აქვს მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის გადაწყვეტილებებსა და მიმართულებაზე.

უმაღლესი ხელმძღვანელობა შედგება პირებისგან, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა პირდაპირ ან არაპირდაპირ დაგეგმონ, წარმართონ და გააკონტროლონ კომპანიის საქმიანობა, მათ შორის ნებისმიერი მენეჯერი, აღმასრულებელი თუ სხვა.
საწარმო ჩაითვლება კომპანიასთან დაკავშირებულად, თუ:

- საწარმო და კომპანია არიან ერთიდაიგივე კომპანიის წევრები ან არიან ფლობილი ერთობლივი მესაკუთრეების მიერ, ან
- საწარმო არის კომპანიის მეკავშირე საწარმო ან კომპანიის მიერ ფლობილი საწარმო, ან
- საწარმო კონტროლდება კომპანიის მიერ, ან პირიქით, საწარმო და კომპანია ექვემდებარებიან ერთობლივ კონტროლს.

“ნასდაქი” კონფიდენციალური ინფორმაცია – პერსონალური მონაცემები: შეზღუდეთ მათი გადაცემა და უზრუნველყავით პერსონალური მონაცემების დაცვა კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად